დანართი

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის განათლების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი

უმაღლესი განათლების II საფეხური

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VII დონე

2024

I. შესავალი

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის განათლების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი[1] განსაზღვრავს ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების მისაღწევი აუცილებელი სწავლის შედეგების მინიმუმს, მათ მისაღწევად საჭირო სწავლება-სწავლის, შეფასების მიდგომებს, რესურსებს და სხვა არსებით მახასიათებლებს, რაც საჭიროა უმაღლესი განათლების II საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებისთვის კვალიფიკაციის მისანიჭებლად. დოკუმენტი მოიცავს აუცილებელ მინიმალურ სწავლის შედეგებს, მათს მისაღწევად საჭირო სწავლება-სწავლისა და შეფასების მიდგომებს, პასუხისმგებლობებსა და ავტონომიურობას. კომპეტენციები განსაზღვრულია კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩოსა და მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით და გულისხმობს პროფესიის, შესასრულებელი ვალდებულებების სპეციფიკის გაცნობიერებას, პროფესიული საქმიანობისთვის აუცილებელ თეორიულ ცოდნას, პრაქტიკულ უნარ-ჩვევებსა და ღირებულებებს, უფროსი მასწავლებლის ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობების შესრულების შესაძლებლობას. აღნიშნული გულისხმობს შესაბამისი მეთოდების გამოყენებით პედაგოგიური სიტუაციის/ინფორმაციის/მონაცემების შეფასება-ანალიზს, პრობლემისა და მიზეზების, შედეგების ურთიერთკავშირის გაცნობიერებას, კრიტიკულ ანალიზსა და თავისი კომპეტენციის ფარგლებში სწორი გადაწყვეტილებების მიღებას, დარგობრივი ტერმინოლოგიის სწორი გამოყენებით წერით და ზეპირ კომუნიკაციას, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და კომპიუტერული პროგრამების გამოყენებას, პროფესიულ განვითარებას და სხვ.

[1] დარგობრივი მახასიათებელი წარმოადგენს შუალედურ დოკუმენტს, რომელიც ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოს აკავშირებს საგანმანათლებლო პროგრამასთან. იგი აღწერს იმ მინიმალურ სწავლის შედეგებს, რომელიც უნდა ჰქონდეს შესაბამისი დონისა და სწავლის სფეროს/დარგის კვალიფიკაციის მფლობელს, თუმცა არ ამოწურავს ამ სფეროსთან დაკავშირებულ სწავლის შედეგებს. ამასთან, დარგობრივი მახასიათებლის მიზანია საგანმანათლებლო პროგრამების მრავალფეროვნებისა და მოქნილობის უზრუნველყოფა. საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ დაწესებულებას შეუძლია დარგობრივ მახასიათებელში აღნიშნული სწავლის შედეგების სტრუქტურულად განსხვავებულად ჩამოყალიბება.

წინამდებარე დოკუმენტის, როგორც ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მექანიზმის მიზანია ხელი შეუწყოს:

- საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, საერთაშორისო სტანდარტებისა და თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და შემდგომში განხორციელებას;
- დაგეგმვის, სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდოლოგიის დანერგვას;
- პროგრამის კურსდამთავრებულთა კვალიფიკაციის აღიარებას, მობილობას, კონკურენტუნარიანობას და ისეთი კომპეტენციების ჩამოყალიბებას, რომელთა საფუძველზე ისინი შეძლებენ უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე (დოქტორანტურაში) სწავლის გაგრძელებას;
- პროგრამის კურსდამთავრებულთა საზოგადოებრივ თუ პროფესიულ საქმიანობაში თავიანთი შესაძლებლობების რეალიზებას და კარიერულ წინსვლას (სასწავლო პროცესში აქტიური ჩართვითა და პროფესიული განვითარებით, შემდგომი საფეხურის მასწავლებლის სტატუსის მოპოვება.

დარგის ძირითადი მარეგულირებელი დოკუმენტები ეფუძნება:

- საქართველოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს;
- უმაღლესი განათლების ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს;
- ინჩეონის დეკლარაციას;
- მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს;
- შრომის ბაზრის მოთხოვნებს;
- საკანონმდებლო მოთხოვნებს:
    - საქართველოს კანონი ,,ზოგადი განათლების შესახებ“;
    - საქართველოს კანონი ,,უმაღლესი განათლების შესახებ“;

- ბავშვის უფლებათა კოდექსს;
- განათლებისა და მეცნიერების ერთიან სტრატეგიას;
- ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
- ეროვნულ დონეზე მოქმედ სტანდარტებს:
    - ეროვნული სასწავლო გეგმა;
    - მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი;
- მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემას.

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის განათლების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების საფუძველი:

მასწავლებლის განათლების - უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი 2018 წელს შემუშავებული იყო დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლებისთვის. დაწყებითის საფეხურის სპეციფიკის გამოსაკვეთად, ცალკე დოკუმენტად შემუშავდა ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის განათლების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი, რომელშიც გათვალისწინებულ იქნა შემდეგი ცვლილებები:

- მეტად ორიენტირდა ასაკობრივი ჯგუფის თავისებურებებზე;
- გამოიკვეთა მოსწავლის ჰოლისტური განვითარება და მასზე ზრუნვა;
- გამოკვეთა პრაქტიკის კომპონენტის მნიშვნელობა, გაზარდა რა სკოლაში გატარებული საკონტაქტო საათების, ჩასატარებელი გაკვეთილების რაოდენობა;
- გამოკვეთა ინკლუზიური განათლების მნიშვნელობა და მისი მოდულის მოცულობა გამოყო საერთო კრედიტებიდან;
- უნივერსიტეტებს მეტი თავისუფლება მიეცათ პრაქტიკის კვლევის კომპონენტის განხორციელებაში, რაც კვლევაში ერთობლივად ჩართული სტუდენტების რაოდენობის ზრდას გულისხმობს.

- გამოკვეთა განათლების ტრანსფორმაციის როლი გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისთვის;
- გამოკვეთა არაფორმალური განათლების კომპეტენციების განვითარების აუცილებლობა.

სკოლაში გაკვეთილის ჩატარების გარდა სტუდენტს მოეთხოვება სასკოლო ცხოვრებაში აქტიურად მონაწილეობის მიღება (მშობლებთან, კათედრაზე კოლეგებთან, მოსწავლეებთან ფორმალურ და არაფორმალურ გარემოში (წრეები, კლუბები, სადამრიგებლო პროგრამა და სხვა).

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებლის გაცნობა რეკომენდებულია:

- საგანმანათლებლო დაწესებულებებში ზოგადი განათლების დაწყებითი საფუხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება-განვითარებასა და განხორციელებაში ჩართული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის;

- აბიტურიენტთათვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ზემოაღნიშნული პროგრამის შესწავლით;

- სტუდენტთათვის, რომლებიც სწავლობენ ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე;

- დამსაქმებელთათვის, რომლებიც დაინტერესებული არიან წინამდებარე დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმებით;

- განათლების სფეროს ექსპერტთათვის, რომლებსაც პერიოდულად ევალებათ წინამდებარე დარგობრივი მახასიათებლით დაფარული სწავლის სფეროს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება, მონიტორინგი ან აკრედიტაციის მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა;

- აკრედიტაციის, ავტორიზაციისა და აპელაციის საბჭოს წევრებისთვის, რომლებიც მონაწილეობენ საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისა და აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ინგლისურად დარგობრივი მახასიათებლის დასახელებაა - **General Education Benchmarks of Primary Level Teachers.**

დარგობრივი მახასიათებლის მოქმედების ვადა 7 წელია.

პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

II. სწავლის სფეროს აღწერა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებელი ვალდებულია შეასრულოს მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით, მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსითა და ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის განათლების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელით განსაზღვრული მოვალეობათა და პასუხისმგებლობათა ერთობლიობა საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო აქტების მოთხოვნათა შესაბამისად, გააცნობიეროს თითოეული მოსწავლის ასაკობრივი თავისებურება, უნიკალურობა; უნდა იზრუნოს მოსწავლეთა პიროვნულ, სოციალურ-ემოციურ, კოგნიტურ განვითარებაზე, მათს ფიზიკურ და ფსიქოემოციურ ჯანმრთელობაზე. უნდა იცნობდეს სწავლების უნივერსალური დიზაინის პრინციპებს. სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და წარმართვისთვის უნდა გააანალიზოს საკუთარი საქმიანობისა და მოსწავლეთა შეფასების შედეგები, გამოიყენოს სწავლების დიფერენცირებული სტრატეგიები, გაუმჯობესოს მოსწავლეთა მიღწევები და საკუთარი სასკოლო პრაქტიკა; ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეს ზოგადსაკაცობრიო და ეროვნული ღირებულებების ფორმირებაში, თვითრეგულირებადი ქცევისა და სწავლის უნარის ჩამოყალიბებაში, გაუღვივოს მას ცნობისმოყვარეობა და ცოდნისმოყვარეობა;

ითანამშრომლოს მოსწავლეებთან, კოლეგებთან, მშობლებთან, სკოლის ადმინისტრაციასთან თითოეული მოსწავლის ჰარმონიული განვითარებისათვის, პრობლემის ერთობლივად გადაჭრისთვის. იყოს რეფლექსიური, თვითკრიტიკული, ორიენტირებული უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე, პედაგოგიურ პრაქტიკაში სიახლეების მიმღები და დამნერგავი; ფლობდეს ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს და შეეძლოს მათი გამოყენება სწავლების პროცესში.

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს შემდეგ სავალდებულო მოდულებს, რომლებიც სავალდებულო, არჩევითი, პრაქტიკისა და კვლევის კომპონენტებში ხორციელდება:

- თავისუფალი კომპონენტების მოდული - არაუმეტეს 60 ECTS;
- პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის, ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი (შეიძლება მოიცავდეს საგანს ან საგნებს, ან საგნობრივ ჯგუფს) და მეთოდური მოდული - არანაკლებ 180 ECTS, მათ შორის სპეციალური განათლების (არანაკლებ 10 კრედიტი);
- სასკოლო პრაქტიკისა და პრაქტიკის კვლევის მოდული - არანაკლებ 60 ECTS.

*უსდ-ს აქვს შესაძლებლობა პროგრამაში ჩააშენოს სპეციალური მასწავლებლის მომზადების მოდული, რომელიც ჯამურად გულისხმობს არანაკლებ 60 ECTS კრედიტს. სტუდენტს, რომელიც დაასრულებს აღნიშნულ მოდულს, მიენიჭება სპეციალური მასწავლებლობის უფლება. აღნიშნული მოდულის სწავლის შედეგები განსაზღვრულია "სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლით".

სპეციალური მასწავლებლის მომზადების მოდულის ფარგლებში შეიძლება შედიოდეს ძირითადი სწავლის სფეროს მოდულებში შემავალი კურსები მათ შორის - სპეციალური მასწავლებლის მომზადების კურსი/კურსები. პროგრამის ყველა კურსი, რომლებიც საერთო იქნება სპეციალური მასწავლებლის მომზადების მოდულთან, მიმართული

უნდა იყოს სპეციალური მასწავლებლისთვის აუცილებელი კომპეტენციების განვითარებისკენ.

უსდ-ს შესაძლებლობა აქვს, იმავე პრინციპით, სპეციალური მასწავლებლის მომზადების მოდულთან ერთად სტუდენტებს, პროგრამის ფარგლებში დამატებით შესთავაზოს მოდული/მოდულები დაწყებითი საფეხურის შემდეგი საგნის/საგნების მიმართულებით:

ა) I-VI კლასებში საზოგადეობრივი მეცნიერებების სწავლება;

ბ) V-VI კლასებში ქართულის / მათემატიკის / ბუნებისმეტყველების სწავლება და სხვა;

გ) სხვა დაწყებითი საფეხურის საგნის/საგნების მიმართულებები;

დ) არჩევითი სასწალო კურსები.

III. სწავლის შედეგები

დარგობრივი მახასიათებლით გათვალისწინებული სწავლის შედეგები მიმართულია იმ ცოდნის, უნარების, ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის შეძენა/განვითარებისკენ, რომლებიც სტუდენტს მოეთხოვება ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავ-ლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისას.

განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად კურსდამთავრებულისთვის აუცილებელი სწავლის შედეგები:

ცოდნა და გაცნობიერება

პოზიტიური სასწავლო გარემოს ფორმირება

- აღწერს როგორ შექმნას ფიზიკურად, სოციალურ-ემოციურად და კოგნიტურად უსაფრთხო, ინკლუზიური, სწავლისა და მოსწავლეებისადმი კეთილგანწყობილი,

მამოტივირებელი სასწავლო გარემო ბავშვის უფლებათა ზოგადი არსისა და სტანდარტების დაცვით.

- განსაზღვრავს მოსწავლის სოციო-ემოციური და აკადემიური უნარების განვითარებაზე დაკვირვების მეთოდებს, განვითარებისთვის შესაბამის ინტერვენციებს, დიფერენცირებული სწავლებისა და რემედიაციის მეთოდებს, რომელთაფარგლებშიც უზრუნველყოფილია ყველა მოსწავლისა და მოწყვლადი ჯგუფების განათლება (მათი ინდივიდუალური, სპეციალური საჭიროებების, გენდერული, ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური, სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული მრავალფეროვნების გათვალისწინებით).
- განსაზღვრავს კლასის მართვისა და კონფლიქტების პრევენციისა და მოგვარების ეფექტიან სტრატეგიებს.
- მსჯელობს, როგორ შეუწყოს ხელი მშობელთა/მეურვეთა ჩართულობას მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.
- აღწერს სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის ჩამოყალიბების ხელშემწყობ ძირითად ფაქტორებს და მსჯელობს თანამშრომლობითი გარემოს მნიშვნელობაზე საკუთარი პროფესიული განვითარებისა და ..ხარისხის გაუმჯობესებისთვის.

სასწავლო პროცესის დაგეგმვა, წარმართვა და შეფასება

- აღწერს ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, დაწყებითი საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, მათ ძირითად საგანმანათლებლო პრინციპებს[2].

[2] ა) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას.

ბ) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.

გ) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებას.

დ) სწავლა-სწავლება უნდა უზრუნველყოფდეს სწავლის სტრატეგიების დაუფლებას (სწავლის სწავლა).

ე) სწავლა-სწავლება უნდა მოიცავდეს ცოდნის სამივე კატეგორიას: დეკლარატიულს, პროცედურულსა და პირობისეულს.

- მსჯელობს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის თავისებურებებზე.
- მსჯელობს რესურსების გამოყენების მნიშვნელობაზე, მათი შერჩევის, მოძიებისა და შექმნის გზებსადა მიზნობრივ გამოყენებაზე, მათ შორის, სწავლის სხვადასხვა ტიპის მოსწავლეებთან.
- სასწავლო პრაქტიკას მიზნობრივად უკავშირებს პიროვნების განვითარებისა და განათლების ძირითად თეორიებს.
- იყენებს მოსწავლეთა საბაზისო აკადემიური და სოციალურ-ემოციური უნარების განვითარების ძირითად მიდგომებს.
- მსჯელობს სწავლისა და სწავლების მრავალფეროვან, მოსწავლეზე ორიენ-ტირებულ სტრატეგიებსა და მათი გამოყენების პერსპექტივებზე.
- მსჯელობს მდგრადი განვითარების პრინციპებზე, განსაზღვრავს მდგრადობის სწავლების მნიშვნელობას პიროვნების ჩამოყალიბებაში, სოციალური და ბუნებრივი გარემოსადმი პასუხისმგებლიანი მოქალაქის აღზრდაში.
- მსჯელობს კლასგარეშე საქმიანობის როლსა და მნიშვნელობაზე მოსწავლეთა მოტივაციის, სწავლის და მრავალმხრივი განვითარებისათვის.
- შეფასების ტიპებს, პრინციპებს, მეთოდებსა და კრიტერიუმებს აკავშირებს სასწავლო მიზანთან. მსჯელობს შეფასების რუბრიკების შექმნის ძირითად პრინციპებზე.
- მსჯელობს ეფექტიანი განმავითარებელი შეფასების გამოყენების მნიშვნელობაზე დაწყებით საფეხურზე.

პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა

- შეარჩევს საკუთარი საქმიანობის თვითშეფასების შესაბამის ფორმას. მსჯელობს რეფლექსიისა და თვითშეფასების მნიშვნელობაზე საკუთარი პრაქტიკისა და მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესების მიზნით.

- ასახელებს პროფესიული განვითარების მოდელებს და მსჯელობს თითოეულის გამოყენების მიზნობრიობაზე.
- განიხილავს განათლების მეცნიერებებში თანამედროვე ტენდენციებსა და კვლევებს საჭიროებების შესაბამისად.
- მსჯელობს კვლევის მეთოდების მიზნობრივად გამოყენების შესაძლებლობებზე.
- აღწერს პრაქტიკის კვლევის სპეციფიკას, მისი წარმართვის თავისებურებებსა და კვლევის მნიშვნელობას საკუთარი პროფესიული განვითარებისა და სწავლება-სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაში.

უნარები

პოზიტიური სასწავლო გარემოს ფორმირება

- ბავშვის უფლებათა პრინციპებზე დაფუძნებით ქმნის უსაფრთხო, თავისუფალ, კომფორტულ სასწავლო გარემოს თითოეული მოსწავლის პიროვნული, სოციალურ-ემოციური და კოგნიტური განვითარებისთვის მათი ინდივიდუალური, სპეციალური საჭიროებების, გენდერული, ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური, სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული მრავალფეროვნების გათვალისწინებით.
- უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლისათვის თანაბრად ხელმისაწვდომ სასწავლო გარემოს.
- ზრუნავს მოსწავლეების ჯანმრთელობაზე, ქმნის ფიზიკურად უსაფრთხო გარემოს (მაგ: ეფექტურად ანაცვლებს სასწავლო და დასვენების აქტივობებს).
- რთავს სსსმ მოსწავლეებს სასწავლო აქტივობებში დიფერენცირებული სწავლებისა და რემედიაციის მეთოდების გამოყენებით; მათი საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით;
- აკვირდება მოსწავლეების საბაზისო უნარებს იდენტიფიცირებისა და დიაგნოსტირების მიზნით ადრეული ინტერვენციის დასაგეგმად. საჭიროების შემთხვევაში გადაამისამართებს შესაბამის სპეციალისტებთან და თანამშრომლობს მათთან.

- მიზნობრივად იყენებს კლასის მართვის ეფექტურ სტრატეგიებს. მათ შორის, ხელს უწყობს მოსწავლეთა თვითრეგულირებადი ქცევის ჩამოყალიბებასა და პოზიტიური ურთიერთობების დამკვიდრებას.
- აანალიზებს კონფლიქტების გამომწვევ მიზეზებს და მათზე ადეკვატურად რეაგირებს; აღწერს და ავლენს მოსწავლეებთან, მშობლებთან/მეურვეებთან, კოლეგებთან ეფექტური კომუნიკაციის უნარს კონფლიქტების პრევენციისა და მოგვარებისათვის.
- ხელს უწყობს მშობელთა (სხვა კანონიერ წარმომადგენელთა) ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში. მშობელთან კომუნიკაციისას იყენებს განმავითარებელ შეფასებას.
- ამყარებს მოსწავლეებთან, კოლეგებთან, თემთან ეფექტურ კომუნიკაციას და საქმიან თანამშრომლობას სკოლისა და მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე.

სასწავლო პროცესის დაგეგმვა, წარმართვა და შეფასება

- ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების, ეროვნული სასწავლო გეგმის, სკოლის პრიორიტეტებისა და მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით შეიმუშავებს გრძელვადიან და მოკლევადიან სასწავლო გეგმებს; გეგმავს თემატურ სტრუქტურულ ერთეულს კომპონენტებს შორის კავშირების გათვალისწინებით. დაგეგმვისას შეუძლია შიდასაგნობრივი და საგანთაშორისი კავშირების გათვალისწინება.
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) შემუშავებისას თანამშრომლობს ისგ-ის ჯგუფთან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესისთვის.
- აკადემიური კეთილსინდისიერების გათვალისწინებით მოიძიებს, შეარჩევს, ქმნის და იყენებს დამხმარე რესურსებს, ICT ტექნოლოგიებსა და ხელოვნურ ინტელექტს სასწავლო გეგმის მიზნების, კონკრეტული კლასის მოსწავლეების

საჭიროებებისა და ასაკის გათვალისწინებით. რესურსები გენდერულად დაბალანსებულია, არ აღვივებს სტერეოტიპებს და ხელს უწყობს გენდერული თანასწორობის დამკვიდრებას.

- მოსწავლეებში ავითარებს ცნობისმოყვარეობასა და ცოდნისმოყვარეობას. ეფექტიანად არჩევს მოტივაციის ამაღლების სტრატეგიებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ პროგრესზე დაკვირვებითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით.
- ფსიქოემოციურად და კოგნიტურად ამზადებს მოსწავლეებს სწავლების შემდეგი, საბაზო საფეხურისთვის.
- ხელს უწყობს მოსწავლეთა საბაზისო აკადემიური და სოციალურ-ემოციური უნარების განვითარებას მათი ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით.
- ითვალისწინებს დიფერენცირებული სწავლების პრინციპებს სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და წარმართვისას.
- ეხმარება მოსწავლეებს სწავლაში ჩამორჩენის დაძლევაში რემედიაციული სტრატეგიების გამოყენებით.
- მიზნობრივად იყენებს სწავლება-სწავლის მრავალფეროვან სტრატეგიებს.
- ხელს უწყობს მოსწავლეთა დამოუკიდებელი სწავლის უნარის ჩამოყალიბებას.
- იყენებს სწავლების პროცესში მდგრადი განვითარების პრინციპებს - აკავშირებს მათ სასწავლო მიზნებსა და საკითხებთან; ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით სთავაზობს მოსწავლეებს ამოცანებს, რომლებიც ორიენტირებულია მდგრადობაზე, პრობლემების გადაჭრაზე.
- სადამრიგებლო პროგრამასა და კლასგარეშე საქმიანობას გეგმავს და ახორციელებს მოსწავლეთა ინტერესების, საჭიროებებისა და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით.
- მიზნობრივად იყენებს შეფასების მეთოდებს, სქემებსა და რუბრიკებს და საჭიროების შემთხვევაში ადგენს მათ.

- გასცემს მოსწავლეზე ორიენტირებულ განმავითარებელ უკუკავშირს მათი კოგნიტური და პიროვნული განვითარებისთვის.

პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა

- თვითშეფასების, კოლეგებისაგან / დირექციისაგან / მოსწავლეებისაგან / მშობლებისაგან მიღებული უკუკავშირის, მოსწავლეთა საჭიროებების და შეფასების რეფლექსიის/ანალიზის საფუძველზე ახდენს საკუთარი პრაქტიკის კომპლექსურ, თანმიმდევრულ და კრიტიკულ ანალიზს - ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირებასა და პროფესიული განვითარების შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვას.
- იძიებს და იყენებს განათლების მეცნიერებაში ახალ ცოდნას, ტენდენციებსა და თანამედროვე კვლევებს საკუთარი პროფესიული განვითარებისა და სასკოლო პრაქტიკის სრულყოფისთვის.
- გეგმავს კვლევებს, მოიძიებს და ქმნის შესაბამის ინსტრუმენტებს კვლევის განსახორციელებლად. საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს კვლევით პროექტებს მოსწავლეების ჩართულობით.
- სასკოლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე ახდენს პრობლემის/საჭიროების იდენტიფიცირებას, ანალიზს, შესაბამისი ინტერვენციების დაგეგმვას, განხორციელებასა და მათი ეფექტიანობის შეფასებას.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

პოზიტიური სასწავლო გარემოს ფორმირება

- აღიარებს განათლების ინკლუზიურობისა და მოსწავლეთა მოტივაციის მნიშვნელობას პოზიტიური, უსაფრთხო/ კონფლიქტებისგან თავისუფალი სასწავლო გარემოს შექმნისთვის;

- აღიარებს მოსწავლეებთან, მშობლებთან, კოლეგებთან, თემთან თანამშრომლობის მნიშვნელობას უსაფრთხო (ფიზიკური, სოციალური და ემოციური) სასწავლო გარემოს ფორმირებისთვის.

სასწავლო პროცესის დაგეგმვა, წარმართვა და შეფასება

- მსჯელობს ზოგადი განათლების ჩარჩო დოკუმენტებისა და განათლების მეცნიერებაში დაგროვილი ცოდნის მნიშვნელობაზე თავისი პედაგოგიური საქმიანობისთვის;
- აღიარებს, რომ დიფერენცირებული და კონსტრუქტივისტული მიდგომის გამოყენება სასწავლო პროცესში ხელს შეუწყობს როგორც მოსწავლეთა მოტივაციის ზრდას, მათ პიროვნულ და კოგნიტურ განვითარებას, ასევე მოსწავლეთა ინტეგრაციას სასკოლო საზოგადოებაში.

პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა

- ორიენტირებულია უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე, სხვადასხვა გზით სიახლეების ათვისებასა და პრაქტიკაში მათ დანერგვაზე;
- აღიარებს კვლევაზე დაფუძნებული სასკოლო პრაქტიკის სრულყოფის მნიშვნელობას.

IV. მისანიჭებელი კვალიფიკაცია

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხი (ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების სწავლების უფლების მითითებით).

სპეციალური მასწავლებლის მომზადების მოდულის სრულად გავლის შემთხვევაში - პროგრამით გათვალისწინებულ აკადემიურ ხარისხთან ერთად ენიჭება სპეციალური მასწავლებლობის უფლება, რაც აისახება დიპლომის დანართში.

4. 1. დასაქმების შესაძლო სფერო/სფეროები:

მასწავლებლის პროფესია რეგულირდება სახელმწიფოს მიერ. ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, კურსდამთავრებულებს, რომელთა კვალიფიკაცია უთანაბრდება მაგისტრის ხარისხს, მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად, უფლება ექნებათ, იმუშაონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში დაწყებითი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლად, სპეციალურ მასწავლებლად (შესაბამისი მოდულის სრულად გავლის შემთხვევაში), ასევე, არაფორმალური განათლების კუთხით.

4. 2. სპეციალური მოთხოვნები:

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში მუშაობის დასაწყებად ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო (300-კრედიტიანი) პროგრამის კურსდამთავრებულისთვის სპეციალური დამატებითი მოთხოვნები არ არსებობს.

V. სწავლება, სწავლა და შეფასება

სწავლებისას აუცილებელია თეორიული მასალის მიწოდება სალექციო სახით მინიმუმამდე იყოს დაყვანილი და გამოყენებული იყოს სტუდენტზე ორიენტირებული მრავალფეროვანი ინტერაქტიული სტრატეგიები - ინდივიდუალიზებული ინსტრუქციები, დისკუსიები, სიმულაციები, შემთხვევათა ანალიზი, კეთებით სწავლება, როლური თამაში, კვლევა, ლაბორატორიული მეცადინეობები, შებრუნებული საკლასო ოთახი, პროექტზე/პრობლემაზე/ადგილზე ორიენტირებული სწავლება (PBL), ელექტრონული პორტფოლიო, მოდელირება და სხვა. სათანადო მეთოდების რეგულარული გამოყენებით აუდიტორიაში სტუდენტები უკეთ აცნობიერებენ თანამედროვე მიდგომების უალტერნატივობას და მუშაობის დაწყების შემდეგ ადვილად შეძლებენ მიდგომების გადატანას პრაქტიკაში.

სამაგისტრო ნაშრომი შესაძლებელია იყოს პრაქტიკის კვლევა ან ემპირიული კვლევა; სტუდენტი პარტნიორ სკოლაში ახორციელებს პრაქტიკის კვლევას, რომელიც სკოლაში არსებულ პრობლემას ეხმიანება და მისი გადაჭრისთვის საჭირო ინტერვენციებს ითვალისწინებს. პრაქტიკის კვლევა სტუდენტებმა შეიძლება ჩაატარონ ჯგუფურად (არაუმეტეს 3 წევრისა), თუმცა თითოეული მათგანი ინდივიდუალურ შეფასებას მიიღებს. ტრადიციული ემპირიული კვლევა ხორციელდება სტუდენტის მიერ ინდივიდუალურად.

საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის გეგმით/სილაბუსით/მოდულით გათვალისწინებული შეფასების ფორმები შესაძლოა მოიცავდეს შეფასების კომპონენტებს, რომლებიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხებს, როგორებიცააზეპირი და წერითი ანგარიშის მომზადება და წარმოდგენა, ზეპირი გამოცდა, წერითი გამოცდა, ზეპირი გამოკითხვა და სხვ.

თითოეული სასწავლო კურსის გეგმით/სილაბუსით გათვალისწინებული შეფასების კომპონენტები შესაძლოა აერთიანებდეს შეფასების სხვადასხვა მეთოდს: ტესტი, ესე, რეფერატი, შემთხვევის განხილვა/ანალიზი, პრაქტიკის კვლევის ანგარიში პორტფოლიო და ა.შ.

VI. დამატებითი ინფორმაცია

6.1 წინამდებარე დარგობრივ მახასიათებლებში მითითებულია ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის პროფესიისადმი წაყენებული მოთხოვნები;

6.2 მახასიათებელი ასახავს მასწავლებლის პროფესიული სტანდარტითა და ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლის ზოგად მახასიათებლებს;

6.3 საგნობრივი კომპეტენციები განისაზღვრება შესაბამისი საფეხურის და საგნების ეროვნული სასწავლო გეგმითა და მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის შესაბამისი საგნობრივი ნაწილით;

6.4 სასკოლო პრაქტიკა სწავლის პერიოდში შესაძლებელია იყოს სასწავლო კურსებში ჩაშენებული და/ან დამოუკიდებლად განხორციელებული;

6.5 ჩაშენებული პრაქტიკის დროს სტუდენტი აკვირდება სასწავლო პროცესს, მასწავლებელთან ერთად მონაწილეობს დაგეგმვაში, ასისტირებას უწევს მას საგაკვეთილო პროცესში, აანალიზებს ნანახს; ჩაშენებულ პრაქტიკაზე სტუდენტები მცირე ჯგუფებად შეიძლება განაწილდნენ;

6.6 დამოუკიდებელი პრაქტიკის დროს სტუდენტი სრულად იღებს პასუხისმგებლობას სასწავლო პროცესზე, რისთვისაც წინასწარ ესწრება გაკვეთილებს, რათა გაიცნოს მასწავლებელი, მოსწავლეები, მშობლები. გეგმავს და ატარებს გაკვეთილებს. თითოეულ საგანში (ქართული, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება, საზოგადოებრივი მეცნიერებები) სტუდენტმა უნდა ჩაატაროს სრული თემატური ერთეული, რომელიც რამდენიმე თანმიმდევრულ გაკვეთილს მოიცავს, რათა წარმოჩნდეს სწავლებისთვის აუცილებელი ყველა კომპეტენცია - დაგეგმვა, წარმართვა, შეფასება;

6.7 სასკოლო პრაქტიკას ხელმძღვანელობს, ერთი მხრივ, დაწყებითი საფეხურის მოქმედი მასწავლებელი, რომელიც აკმაყოფილებს „მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემისა“ და მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის მოთხოვნებს, აქვს სკოლაში მუშაობის არანაკლებ სამწლიანი გამოცდილება და უნარი, სასწავლო პრაქტიკის განმავლობაში გაუწიოს სტუდენტს პროფესიული მხარდაჭერა; ხოლო, მეორე მხრივ - პრაქტიკის ხელმძღვანელი უნივერსიტეტიდან, რომელიც ეხმარება სტუდენტს სასწავლო პრაქტიკის მოთხოვნების გააზრებაში, პროცესების დაგეგმვასა და წარმართვაში, პრაქტიკის რეფლექსიაში;

6.8 სასკოლო პრაქტიკისა და პრაქტიკის კვლევისთვის უნივერსიტეტს უნდა ჰყავდეს პარტნიორი სკოლები, რომლებთანაც გაფორმებული ექნება მემორანდუმი;

6.9 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის № 69/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორით" გათვალისწინებული დეტალური

სფეროს შესაბამისი ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების უმაღლესი განათლების პროგრამა/პროგრამები უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობაში მოიყვანოს წინამდებარე მახასიათებლის ამოქმედებიდან 1 წლის ვადაში;

6.10 დაწესებულება ვალდებულია ახალი საგანამანათლებლო პროგრამის/პროგრამების სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში სააკრედიტაციო განაცხადის წარდგენის დროს, პროგრამა/პროგრამები შესაბამისობაში ჰქონდეს დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებთან.

VII. დარგობრივი მახასიათებლის შემმუშავებელი ჯგუფის წევრები

7.1. დოკუმენტის შემმუშავებელი ჯგუფის წევრები

განათლების უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს წევრები

№	სახელი, გვარი	ორგანიზაცია/დაწესებულება	თანამდებობა
1	სოფიკო ლობჟანიძე	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	განათლების სკოლის ხელმძღვანელი, პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2	დიანა მჭედლიშვილი	შპს - კავკასიის უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი - საბჭოს მდივანი;
3	ქეთევან ჭკუასელი	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის პროფესორი - საბჭოს წევრი;

4	ზაქარია ქიტიაშვილი	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი - საბჭოს წევრი;
5	მიხეილ გიორგაძე	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ბიზნესის, ტექნოლოგიებისა და განათლების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი- საბჭოს წევრი;
6	ვლადიმერ ადეიშვილი	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პედაგოგიური ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი- საბჭოს წევრი;
7	მარეხი ნიკოლაძე	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პედაგოგიური ფაკულტეტის მოწვეული სპეციალისტი - საბჭოს წევრი;
8	ნანა მაკარაძე	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი- საბჭოს წევრი;
9	ნინო ნახუცრიშვილი	სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის პროფესორი- საბჭოს წევრი;
10	ეკატერინე გიგაშვილი	სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროფესორი- საბჭოს წევრი;
11	თამარ შინჯიაშვილი	სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი - საბჭოს წევრი;

12	რევაზ ტაბატაძე	შპს საქართველოს უნივერსიტეტი	ევროპული ენებისა და ფილოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი - საბჭოს წევრი;
13	ალუდა გოგლიჩიძე	შპს - კავკასიის უნივერსიტეტი	კავკასიის განათლების სკოლის დეკანი, ასოცირებული პროფესორი - საბჭოს წევრი;
14	პაატა პაპავა	შპს კავკასიის უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი- საბჭოს წევრი;
15	მაია ჩქოტუა	შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი	ინგლისური ფილოლოგიის და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი - საბჭოს წევრი;
16	ხათუნა ხალვაში	ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი - საბჭოს წევრი;
17	ნანა ქირია	შპს თბილისის თავისუფალი აკადემია	პროფესორი- საბჭოს წევრი;
18	ქეთევან აფთარაშვილი	შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი	განათლების დეპარტამენტის უფროსი, განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი - საბჭოს წევრი;

19	ირმა ქურდაძე	სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროფესორი- საბჭოს წევრი;
20	ქეთევან ქობალია	სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	პედაგოგიკის, ფსიქოლოგიისა და სოციოლოგიის კათედრის გამგე, პროფესორი - საბჭოს წევრი;
21	თეონა ხაჩიძე	შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოში	სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ინგლისური ენის მასწავლებელი) ხელმძღვანელი, ასისტენტ-პროფესორი - საბჭოს წევრი;
22	ნიკოლოზ სილაგაძე	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის "ეროვნული სასწავლო გეგმის განვითარება და დანერგვის ხელშეწყობის" პროგრამის ეროვნული სასწავლო გეგმის განვითარების კოორდინატორი - საბჭოს წევრი;
23	ია აფთარაშვილი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის "ეროვნული სასწავლო გეგმის განვითარება და დანერგვის ხელშეწყობის" პროგრამის ეროვნული სასწავლო გეგმის განვითარების კოორდინატორი (კვლევების მიმართულებით) - საბჭოს წევრი;

24	თამარ გაგოშიძე	„თამარ გაგოშიძის ნეიროფსიქოლოგიის ცენტრი“	დამფუძნებელი; სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი - საბჭოს წევრი;
25	თამარ კაპანაძე	თბილისის კლასიკური გიმნაზია	დირექტორი- საბჭოს წევრი;
26	ანა კინწურაშვილი	შპს „ქორალი"	შპს „ქორალი" - მათემატიკის მასწავლებელი. საბჭოს წევრი;
27	ლელა თურმანიძე	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროფესორი, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანი - საბჭოს წევრი.
28	ეკატერინე სლოვინსკი	USAID-განათლება მომავლისთვის პროექტი	საუნივერსიტეტო განათლების უფროსი მრჩეველი - საბჭოს წევრი;

7.2 გარე ინიცირების ფარგლებში დოკუმენტის შემმუშავებელი ჯგუფის/სამუშაო ჯგუფის წევრები

გარე ინიცირების ფარგლებში დოკუმენტის შემმუშავებელი ჯგუფის წევრები

№	სახელი, გვარი	ორგანიზაცია/დაწესებულება	თანამდებობა
1.	მანანა რატიანი	USAID საბაზისო განათლების პროგრამა, RTI International	მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო კომპონენტის დირექტორი

2.	გიორგი ნოზაძე	USAID საბაზისო განათლების პროგრამა, RTI International	სწავლა-სწავლების დირექტორი
3.	თამარ ჭანტურია	USAID საბაზისო განათლების პროგრამა, RTI International	წიგნიერების მიმართულების ხელმძღვანელი
4.	სოფიო ლობჟანიძე	სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროფესორი, განათლების სკოლის ხელმძღვანელი
5.	ნინო ნახუცრიშვილი	სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პედაგოგიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი
6.	ირმა ქურდაძე	სსიპ სამცხე–ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროფესორი, განათლების მიმართულების ხელმძღვანელი
7.	თამარ შინჯიაშვილი	სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი, განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი
8.	ლია ახალაძე	სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსი, მასწავლებლის პროგრამების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი
9.	ნანა მაკარაძე	სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი
10.	ნატო ქობულაძე	სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პედაგოგიკის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი

11.	დალი ბერანძე	სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი. განათლების მიმართულების კოორდინატორი
12.	ნინო ფეტვიაშვილი	სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	მოწვეული ექსპერტი